



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სურსათის ტექნოლოგია და უვნებლობა

საფეხური - მაგისტრატურა

აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

11/05/2023,

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2023

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.....	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა.....	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან	9
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	9
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა..	16
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა.....	21
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა.....	24
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	32

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება მისი ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212693049
დაწესებულების ტიპი	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დარიო კომპანიონე, ტერამოს უნივერსიტეტი, იტალია
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ჟუჟა ხაჭაპურიძე, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ელენე სორდია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ჯოჯუა, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დიმიტრი ცანავა, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

¹ ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: გთხოვთ, მიუთითოთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ აღნიშნულ პროგრამას. საიდენტიფიკაციო კოდისა და დაწესებულების ტიპის მითითება სავალდებულო არ არის, თუ უსდ აღიარებულია უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად)	სურსათის ტექნოლოგია და უვნებლობა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	Food Technology and Safety
უმაღლესი განათლების საფეხური	II
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	სურსათის ტექნოლოგიის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0721 სურსათის გადამუშავება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120 ECTS კრედიტი
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული, არაკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნები (სამხატვრო- შემოქმედებითი და/ან სპორტული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, შემოქმედებითი ტურის/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაში დაშვების/პროგრამის განხორციელების სპეციფიკური მოთხოვნები)	

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ⁴**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2012 წლიდან 2019 წლამდე აკრედიტებულ რეჟიმში, ხოლო 2019 წლიდან დღემდე - ავტორიზებული რეჟიმში ფუნქციონირებდა „სურსათის ტექნოლოგიების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა. პროგრამის გასაუმჯობესებლად, წლების განმავლობაში განხორციელდა სხვადასხვა ქმედება, გარე შეფასების რეკომენდაციების, უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფისა და ფაკულტეტის რჩევების, შრომის ბაზრის ანალიზისა და სტუდენტების მიღწევების კვლევის გათვალისწინებით. 2019 წელს არ მოხდა პროგრამის აკრედიტაცია და მოგვიანებით, შეიცვალა წინა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებისა და გარე საერთაშორისო ექსპერტების რჩევების გათვალისწინებით.

პროგრამა შედგება 120 კრედიტისგან (4 სემესტრი), აქედან 80 სავალდებულოა. სავალდებულო კრედიტები მოიცავს 8 კლასიკურ კურსს (თითო 5 კრედიტი, ინგლისურის ჩათვლით), მოკლე კვლევით პროექტს (5 კრედიტი), პროფესიული პრაქტიკის პერიოდს (5 კრედიტი) და სამაგისტრო ნაშრომს (30 კრედიტი). არჩევითი საგნები დაყოფილია 3 სხვადასხვა ბლოკად - სურსათის ტექნოლოგია და სურსათის უვნებლობა (15 კრედიტი სავალდებულოა 25 შემოთავაზებულს შორის) და ზოგადი ინჟინერია (10 კრედიტი სავალდებულოა 20 შემოთავაზებულს შორის).

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი შედგა 11/05/2023; გასაუბრება ჩატარდა აწსუ-ს რექტორთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, ფაკულტეტის დეკანთან, ხარისხის უზრუნველყოფის ოფისთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, ჩართულ აკადემიკოსებთან, კომპანიების წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. ვიზიტის ფარგლებში ასევე განხორციელდა ლაბორატორიული რესურსების და ბიბლიოთეკის დათვალიერება. ვიზიტი კონსტრუქციულ გარემოში გაიმართა; ყველა მონაწილეს ჰქონდა თანამშრომლობითი დამოკიდებულება. სხდომები ჩატარდა შესაბამისი ეთიკური ნორმების დაცვით. ყველა შეხვედრას უძღვებოდა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, გარდა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან შეხვედრისა, რომელსაც ხელმძღვანელობდა დიმიტრი ცანავა, ხოლო შეხვედრას ხარისხის უზრუნველყოფის ოფისთან უძღვებოდა პროფ. ნინო ჯოჯუა. ყოველი შეხვედრა იწყებოდა ექსპერტთა ჯგუფის მოკლე პრეზენტაციით, შემდეგ თავმჯდომარის კითხვებით და ჯგუფის დანარჩენი წევრების კითხვებით/ჩაკითხვებით. რეგულარულად ხორციელდებოდა ბიბლიოთეკის რესურსების (მათ შორის ელექტრონული) და ლაბორატორიების მონახულებაც. მთლიანობაში, და თითოეულ სტანდარტთან მიმართებით ჩატარებული ინტერვიუების გათვალისწინებით, ვიზიტი ძალიან დაგვეხმარა საბოლოო ანგარიშის მომზადებაში.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**
სტანდარტი 1 მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს, რადგანაც სტანდარტი 1.1, 1.3, 1.4 შეესაბამება მოთხოვნებს; სტანდარტი 1.2 და სტანდარტი 1.5 მეტწილად შეესაბამება

⁴ პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

მოთხოვნებს.

სტანდარტები 2,3,4,5 - შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს, რამდენადაც, სტანდარტები 4.2 და 5.3. მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს, ხოლო ყველა სხვა სტანდარტი შეესაბამება მოთხოვნებს.

- რეკომენდაციები

სტანდარტი 1.2

- შეიცვალოს კვლევითი აქტივობის შესაბამისი უნარები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VII დონესთან ჰარმონიზებით.
- „ახალი პროდუქტების, მათ შორის სხვადასხვა ფუნქციონალური დანიშნულების პროდუქტების ტექნოლოგიების დამუშავება“ ან კურიკულუმში დაემატოს შესაბამისი საგნები.

სტანდარტი 1.5

- საქართველოს კანონი სურსათის/საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის შესახებ (2012 წელი) - ერთმანეთისგან განასხვავებს ტერმინებს „სურსათი“ და „საკვები“. ზოგიერთ ქართულ სილაბუსში ეს ტერმინები ურთიერთმონაცვლეობით გამოიყენება - ხალხი იყენებს სურსათს და არა - კვების პროდუქტებს ან საკვებს, ამიტომ სწორი ტერმინი უნდა იყოს გამოყენებული ჩამოთვლილი საგნებისთვის:
- საკვები პროდუქტების კვლევის თანამედროვე მეთოდები - სურსათის კვლევის თანამედროვე მეთოდები;
- კვების საწარმოთა პროცესები და მოწყობილობები - სურსათის საწარმოთა პროცესები და მოწყობილობები;
- კვების საწარმოთა დაგეგმარების პრინციპები -სურსათის საწარმოთა დაგეგმარების პრინციპები
- კვების ქიმიის საკითხები - სურსათის ქიმიის საკითხები;

გარდა ამისა, სწორი ტერმინები უნდა იქნას გამოყენებული ყველა სილაბუსში (მათ შიგ, რომელიც ზემოთ არ არის ჩამოთვლილი).

სტანდარტი 4.2

- უნდა შეიქმნას კვლევის შედეგების გაზომვისა და მონიტორინგის რეგულარული სისტემა.

სტანდარტი 5.3

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა რეგულარულად უნდა აკონტროლოს პროგრამის რესურსების ხელმისაწვდომობა.

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სტანდარტი 1.1.

- „მიზანი: მართავს სასურსათო პროდუქტების ტრადიციულ ტექნოლოგიებს (ხორცი, რძე, პურფუნთუშეული და საკონდიტრო ნაწარმი, სასმელები) დამოუკიდებლად, მაღალპროფესიულ დონეზე, ან ახდენს მათ მოდერნიზაციას კვების ჯანსაღი

პრინციპების გათვალისწინებით, დარგის უახლესი მიღწევების შესაბამისად; ხორცი, რძე, პურფუნთუშეული და საკონდიტრო ნაწარმი, სასმელები.“

- სასურველია წინადადების ხელახალი ფორმულირება, რაც ხაზს უსვამს იმას, რომ რადგან საგნები არჩევითი კომპეტენციებია ტექნოლოგიების მთელ კომპლექტში, თითოეული სტუდენტი ვერ აითვისებს მათ.

სტანდარტი 1.2

- სასურველია, უსდ-მ დოკუმენტებიდან ამოიღოს სხვა უნივერსიტეტების ვებგვერდების ბმულები;
- სასურველია ამ შედეგების ხელახლა ფორმულირება - „იყენებს საინჟინრო და მენეჯერულ კომპეტენციებს სურსათის წარმოებაში შესაბამისი პრობლემების გადასაჭრელად“ და „მართავს კვების პროდუქტების ტრადიციულ ტექნოლოგიებს (ხორცი, რძე, პურფუნთუშეული და საკონდიტრო ნაწარმი, სასმელები) დამოუკიდებლად, მაღალპროფესიულ დონეზე, ან ახდენს მათ მოდერნიზაციას კვების ჯანსაღი პრინციპების გათვალისწინებით, დარგის უახლესი მიღწევების შესაბამისად; მოხდეს მათი ფორმულირება ისე, რომ დაკონკრეტდეს, რომ ეს საგნები არის არჩევითი და სტუდენტები შესაძლოა ვერ გავიდნენ ყველა ამ შედეგზე.

სტანდარტი 1.4

- უფრო ფუნდამენტური ზოგადი საგნების ჩასმა ერთ მოდულში, მათ შორის ყოვლისმომცველი გაგება თერმული და არათერმული პროცესების.
- სურსათის უსაფრთხოების მართვისა და აუდიტის საგნების ჩასმა;
- სურსათის კანონმდებლობისა და რეგულაციების მოდულის ჩასმა.

სტანდარტი 1.5

- სასურველია მეტი ინგლისური ლიტერატურის დამატება (პროგრამა ითვალისწინებს ინტერნაციონალიზაციას, შესაბამისად პროგრამის განვითარებისთვის კარგი იქნება მეტი უცხოენოვანი ლიტერატურის, სამეცნიერო სტატიების გამოყენება);
- სასურველია სტერილიზაციის, პასტერიზაციის, UHT-ის და ასეპტიკური შევსების ჩასმა საგანში „სასურსათო წარმოების პროცესები და თანამედროვე აღჭურვილობა“ და ასევე სასურველია დაინერგოს პრაქტიკული გაშრობის კინეტიკაზე.
- სასურველია დაზუსტდეს, რა სახის ინდიკატორები (ხარისხი და უსაფრთხოება) გაიზომება სურსათის ქიმიის საგანში ლაბორატორიული სამუშაოების დროს.
- სასურველია პრაქტიკული ლექციების ჩასმა კურსში „კვების პროდუქტების კვლევის თანამედროვე მეთოდები“ და ასევე შეიცვალოს ეს სახელწოდება, ისე რომ ამოღებულ იქნას სიტყვა „თანამედროვე“.

სტანდარტი 2.1

- სასურველია რუსულენოვანი ლიტერატურა შეიზღუდოს და დაშვებული იყოს, სამაგისტრო ნაშრომის ბიბლიოგრაფიაში, იქ სადაც აუცილებელია.

სტანდარტი 3.2

- სასურველია სტუდენტების ჩართულობა სხვადასხვა ტიპის სამეცნიერო აქტივობებში (მაგალითად, კონფერენციებში და დისემინაციის აქტივობებში).
- სასურველია, უსდ-მ წაახალისოს საერთაშორისო მონაცემთა ბაზების გამოყენება

სამაგისტრო ნაშრომის წერისას (ეხება ასევე 2.1-ს, წინაპირობებისთვის).

სტანდარტი 4.2

- სასურველია კვლევითი ნაშრომები გამოქვეყნდეს უფრო საერთაშორისო დონეზე აღიარებულ ჟურნალებში;
- სასურველია, გაუმჯობესდეს საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა.

სტანდარტი 4.4

- სასურველია მუდმივად განახლდეს და შეიცვალოს პროფესიული განვითარებისა და კვლევაზე - დაფუძნებული ეტაპებისთვის გაფორმებული შეთანხმებები.
- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁵
- ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე
- სსიპ -აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება რეკომენდაციები დაეტოვებინა უცვლელად. არგუმენტირებულ პოზიციაში, ფაქტობრივად აწსუ ითხოვს აიხსნას კვლევის შედეგების გაზომვისა და მონიტორინგის საჭიროება. უსდ-მ არგუმენტირებულ პოზიციაში დაასახელა ფაკულტეტზე არსებული დოკუმენტები, თუმცა აღნიშნული ვერ ადასტურებს რომ ხდება კვლევის შედეგების (პუბლიკაციების რაოდენობა, ხარისხი, კვლევის გრანტები, პატენტები) მონიტორინგი. შესაბამისად, საჭიროა დამადასტურებელი ფაქტების წარმოდგენა ნებისმიერი საფეხურისთვის (ფაკულტეტი, დეპარტამენტი, სამაგისტრო ხარისხის ჯგუფი). იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება ზემოთხსენებულ პროცესს ახორციელებს მნიშვნელოვანია წარმოდგენილი იყოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები.
- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

⁵ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ვასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის მიზნები რეალისტურია სწავლის სფეროსთვის გათვალისწინებული საჭირო უნარების გამოსამუშავებლად. ისინი ასევე მიღწევადია პროგრამისთვის დადგენილ ვადებში. პროგრამის მთავარი მიზანია, მოამზადოს სურსათის ტექნოლოგიებისა და უვნებლობის სფეროში კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, რომელიც ფლობს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამის კომპეტენციებს და უნარებს. მიზნების განსაზღვრაში და პროგრამაში ჩართული იყვნენ სურსათის კომპანიები, ასევე საერთაშორისო პარტნიორები. პროგრამა შეესაბამება უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის სტრატეგიას. მიზნებიდან გამომდინარე, პროგრამა ხელს შეუწყობს საზოგადოებისა და ტერიტორიის განვითარებას, განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება ზოგადად კვების სფეროსადმი მიძღვნილ სასწავლო გეგმებზე. მიზნები არის საჯარო და ხელმისაწვდომი, ისინი გაზიარებულია პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ მხარეებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
 - საგანმანათლებლო პროგრამა;
 - უსდ-ს მისია, მიზნები და სტრატეგია;
 - თვითშეფასების ანგარიში;
 - გასაუბრებები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად არ არის მითითებული

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- მიზანი: მართავს სასურსათო პროდუქტების ტრადიციულ ტექნოლოგიებს (ხორცი, რძე, პურფუნთუშეული და საკონდიტრო ნაწარმი, სასმელები) დამოუკიდებლად, მაღალპროფესიულ დონეზე, ან ახდენს მათ მოდერნიზაციას კვების უახლესი მიღწევების შესაბამისად; ხორცი, რძე, პურფუნთუშეული და საკონდიტრო ნაწარმი, სასმელები.
- სასურველია წინადადების ხელახალი ფორმულირება, ვინაიდან აღნიშნულ კომპეტენციებს აყალიბებს

არჩევითი საგნები და თითოეული სტუდენტი ვერ აითვისებს ყველა მათგანს (ხორცი, რძე, პრ-ფუნთუშეული და საკონდიტრო ნაწარმი, სასმელები)

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

სწავლის შედეგები არსებითად შეესაბამება პროგრამის მიზნებს და ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს დონეს (VII დონე). კომპეტენციები და უნარები მიეკუთვნება სურსათის გადამამუშავებისა და კონტროლის სფეროს და ორგანიზებულია შრომის ბაზრის კვლევის მიხედვით, რომელიც ჩატარდა კოვიდამდელ პერიოდში (2020 წლამდე).

თვითშეფასების ანგარიშის მეშვეობით შეგროვებული ინფორმაციის თანახმად, სწავლის შედეგები მოიცავს საბაზისო ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობას. დამსაქმებლებთან გასაუბრებისას, დადასტურდა, რომ სწავლის შედეგები შეესაბამება ბაზრის მოთხოვნებს. მათი შემუშავება მოხდა უნივერსიტეტის ყველა კომპონენტთან თანამშრომლობით. სწავლის შედეგები ძირითადად შეესაბამება სწავლების საფეხურს; თუმცა, ზოგიერთი მისაღწევი უნარი გადაჭარბებულად ჟღერს, კერძოდ „სურსათის ტექნოლოგიებისა და უვნებლობის სფეროში ორიგინალური კვლევის დაგეგმვა და ჩატარება თანამედროვე ინსტრუმენტული მეთოდების გამოყენებით“... კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს თანახმად, VII დონის სწავლის შედეგები შეესაბამება „უცხო და მრავალფეროვან გარემოში რთული პრობლემების გადაჭრის ახალი, ორიგინალური გზების ძიებას ან/და კვლევის დამოუკიდებლად განხორციელებას აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით“. კვლევითი საქმიანობის დაგეგმვა და ახალი ცოდნის შექმნა ეკუთვნის VIII დონეს „კვლევის დაგეგმვა და განხორციელება აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით; ახალი კვლევის ან ანალიტიკური მეთოდების ან/და მიდგომების შემუშავება, რომელიც ორიენტირებულია ახალი ცოდნის შექმნაზე (საერთაშორისო რეცენზირებული პუბლიკაციებისთვის აუცილებელ დონეზე)“. ეს უნდა გასწორდეს. დამატებით კიდევ კორექტირება აუცილებელია შემდეგი სასწავლო შედეგების უკეთ განსაზღვრისათვის:

- ტექნოლოგიის განვითარება ახალი პროდუქტებისთვის, მათ შორის სხვადასხვა ფუნქციური დანიშნულების პროდუქტებისთვის - არცერთი ინდივიდუალური საგანი არ გადის ამ შედეგზე. საჭიროა სწავლების აქტივობის გამოკვეთა ან შედეგის შეცვლა, ახალი პროდუქტის შექმნის ამოღებით.

- იყენებს საინჟინრო და მენეჯერულ კომპეტენციებს სურსათის წარმოებაში შესაბამისი პრობლემების გადასაჭრელად - მენეჯერული საგნები არის არჩევითი, სტუდენტმა შესაძლოა ისე დაამთავროს პროგრამა რომ არ აირჩიოს მენეჯმენტთან დაკავშირებული საგნები. შესაბამისად, გირჩევთ დააკორექტიროთ ეს შედეგი.

- მართავს კვების პროდუქტების ტრადიციულ ტექნოლოგიებს (ხორცი, რძე, პურფუნთუშეული და საკონდიტრო ნაწარმი, სასმელები) დამოუკიდებლად, მაღალპროფესიულ დონეზე ან ახდენს მათ მოდერნიზაციას კვების ჯანსაღი პრინციპების გათვალისწინებით, დარგის უახლესი მიღწევების შესაბამისად; ეს საგნები არჩევითია, ამიტომ დააკორექტირეთ შედეგი შესაბამისად.

თვითშეფასების ანგარიშში ჩასმულია კაუნასის უნივერსიტეტის ბმული, ეს არ არის სავალდებულო, რადგან ეს არ არის ერთობლივი ან ორმაგი სამაგისტრო პროგრამა, ბმულს აქვს მრავალი ქვებმული მოსამიებელი და ინფორმაცია არ არის მარტივად გასაცნობი; უფრო მეტიც, რადგან ამ ვებგვერდის ინფორმაციის განახლებები ან ცვლილებები არ კონტროლდება აწესებს მიერ, გირჩევთ ეს ბმული ამოიღოთ (როგორც ნებისმიერი სხვა საერთაშორისო ბმული) პროგრამის დოკუმენტებიდან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

თვითშეფასების ანგარიში

დოკუმენტი რომელიც მოწმობს შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების მოთხოვნებს.

დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას პროგრამის სწავლის შედეგების შესახებ, კურსდამთავრებულთა პასუხებზე დაყრდნობით

გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები:

- შეიცვალოს კვლევითი აქტივობის შესაბამისი უნარები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VII დონესთან ჰარმონიზებით.
- „ახალი პროდუქტების, მათ შორის სხვადასხვა ფუნქციონალური დანიშნულების პროდუქტების ტექნოლოგიების დამუშავება“ ან კურიკულუმში დაემატოს შესაბამისი საგნები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია, უსდ-მ დოკუმენტებიდან ამოიღოს სხვა უნივერსიტეტების ვებგვერდების ბმულები.
- სასურველია ამ შედეგების ხელახლა ფორმულირება - „იყენებს საინჟინრო და მენეჯერულ კომპეტენციებს სურსათის წარმოებაში შესაბამისი პრობლემების გადასაჭრელად“ და „მართავს კვების პროდუქტების ტრადიციულ ტექნოლოგიებს (ხორცი, რძე, პურფუნთუშეული და საკონდიტრო ნაწარმი, სასმელები) დამოუკიდებლად, მაღალპროფესიულ დონეზე, ან ახდენს მათ მოდერნიზაციას კვების ჯანსაღი პრინციპების გათვალისწინებით, დარგის უახლესი მიღწევების შესაბამისად; მოხდეს მათი ფორმულირება ისე, რომ დაკონკრედეს, რომ ეს საგნები არის არჩევითი და სტუდენტები შესაძლოა ვერ გავიდნენ ყველა ამ შედეგზე.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

➤ განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა

განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.

➤ სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოყენებული მექანიზმი ლოგიკურად არის მოწყობილი და ადვილად გასაგებია. სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება როგორც ირიბი (სტუდენტის თვითშეფასება, დამსაქმებლისა და პრაქტიკის დაწესებულების ხელმძღვანელის შეფასება) ასევე პირდაპირი (ტესტი, პრეზენტაცია, დისკუსია, ლაბორატორიული გაკვეთილები და ა.შ.) მეთოდები. უნივერსიტეტი მუდმივად მხარს უჭერს პერსონალს, რომ განივითარონ უნარები სწავლის შედეგების ფორმირებაში, გაზომვასა და გაანალიზებაში, ისინი იცნობენ სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს. სწავლის შედეგების საბოლოო შეფასებამდე, გათვალისწინებულია ერთჯერადი და მრავალჯერადი შუალედური შეფასებები. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის დასადგენად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდოლოგია, როგორცაა ტესტები, დემონსტრაციები, პრეზენტაციები, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, ჯგუფური მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, ლაბორატორიული სამუშაოს შესრულება.

სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება როგორც პირდაპირი, ისე ირიბი მეთოდები; არაპირდაპირი შეფასების მეთოდები მოიცავს სტუდენტის თვითშეფასებას, დამსაქმებლისა და პრაქტიკის დაწესებულების ხელმძღვანელის შეფასებას. უნივერსიტეტი მუდმივად მხარს უჭერს პერსონალს, რომ განივითარონ უნარები სწავლის შედეგების ფორმირებაში, გაზომვასა და გაანალიზებაში, აწესებს ამ მიზნით აწყობს სამუშაო შეხვედრებს და ტრენინგებს, პერსონალს აწვდის ელექტრონულ პრეზენტაციებსა და მასალებს. შესაბამისად, პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს. სწავლის შედეგების შეფასებაში ჩართული იყო 50 ადგილობრივი დამსაქმებელი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

საგანმანათლებლო პროგრამა;

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;

კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვების შედეგები;

თვითშეფასების ანგარიში;

დამსაქმებელთა გამოკითხვა (2020 წლის ივნისი).

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი შედეგები.	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამა არის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნასთან შესაბამისობაში, იგი მოიცავს 120 ECTS-ს (4 სემესტრი) და აძლევს სტუდენტს შესაძლებლობას აირჩიოს სურსათის უვნებლობასა და კვების ტექნოლოგიასთან დაკავშირებული ზოგიერთი საგანი (როგორც სასწავლო გეგმა) საკუთარი ინტერესის სფეროს მიხედვით. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე, როგორცაა უნივერსიტეტის პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები. პროგრამის წინასწარ შეფასებაში ჩართული იყვნენ საერთაშორისო უცხოელი ექსპერტებიც.

პროგრამის სტრუქტურა ლოგიკურია და გადადის მარტივიდან რთულზე. სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით დგინდება, რომ შესავალი და საბაზისო კურსების გავლის შემდეგ სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ სპეციალობის კურსები. გარდა ამისა, მომდევნო, მესამე საფეხურზე დაშვების წინაპირობები ადეკვატურია. პროგრამების სტრუქტურა შეიძლება გაუმჯობესდეს მცირე ცვლილებებით, რაზეც მოცემულია რჩევები: ა) უფრო ფუნდამენტური საგნის ჩასმა ერთ მოდულში (კვების გადამამუშავების ტექნოლოგია, ან ერთეულის ოპერაციები), ეს შეიძლება მოიცავდეს აგრეთვე თერმული და არათერმული პროცესების ყოვლისმომცველ გაგებას; ბ) *სურსათის უვნებლობის მენეჯმენტის საგანში* მიეცით არა მხოლოდ HACCP პრინციპები, არამედ სტუდენტებს ასევე განუვითარეთ უნარები, რომლებიც აუცილებელია სურსათის უვნებლობის მართვის სისტემების ეფექტურად დამუშავებისა და აუდიტისთვის (საინტერესო იქნება სურსათისმიერი დაავადებების შესახებ საგნები); გ) საინტერესო იქნება არჩევითი საგანი, რომელიც დაკავშირებულია სურსათის კანონებსა და რეგულაციებთან (ანუ სურსათის ეტიკეტირების წესები, სურსათთან და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საჩივრები, სურსათის შეფუთვის მოთხოვნები).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა,
- ვებ-გვერდი,
- ინტერვიუები
-

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- უფრო ფუნდამენტური ზოგადი საგნების ჩასმა ერთ მოდულში, მათ შორის ყოვლისმომცველი გაგება თერმული და არათერმული პროცესების.
- სურსათის უსაფრთხოების მართვისა და აუდიტის საგნების ჩასმა;
- სურსათის კანონმდებლობისა და რეგულაციების მოდულის ჩასმა;

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

თითოეული სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი შეესაბამება ამ კურსის/საგნის სწავლის შედეგებს. სილაბუსებში ჩამოთვლილი სავალდებულო ლიტერატურა შეესაბამება კურსის/საგნის სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ლიტერატურა განახლებულია, თუმცა ძირითადად ქართულ ენაზეა; ინგლისურენოვანი ლიტერატურა სტუდენტს და მასწავლებელს საშუალებას მისცემს გაიფართოვონ პერსპექტივა, რადგან ეს არის ტექნიკური ენა, რომელიც გამოიყენება საგნის სფეროში. ეს არის რჩევა.

პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის. პროგრამისთვის შემუშავებულია სწავლის შედეგების მონიტორინგის ძირითადი სქემა; შესაბამისად, სწავლის შედეგების მონაცემები შედარებულია სამიზნე ნიშნულებთან. პროგრამის სწავლის შედეგების მონიტორინგს ახორციელებს პროგრამის ხელმძღვანელი და საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, დადგენილი სტანდარტების მიხედვით. მაგალითად, თუკი სტუდენტების 60% მინიმუმ 71 ქულას მიიღებს სამაგისტრო ნაშრომში, ვარაუდობენ, რომ სწავლის ყველა შედეგი მიღწეულია.

საგნების სახელწოდება შესაბამისობაშია შესაბამის საკითხებთან, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება მიზანშეწონილი იყოს სტუდენტებისთვის მეტი ფუნდამენტური ცოდნის მიწოდება და პროგრამების უკეთ დაზუსტება. კერძოდ, „სურსათის წარმოების პროცესებსა და თანამედროვე აღჭურვილობაში“ სიტყვა „თანამედროვე“ მხოლოდ ინგლისურ თარგმანში გვხვდება. უფრო მეტიც, მოწოდებული ინფორმაცია არის საბაზისო; მიზანშეწონილია თერმული დამუშავების სწავლება, ანუ სტერილიზაცია, პასტერიზაცია, UHT და ასეპტიკური შევსება. იგივე ლექცია მოიცავს გაშრობის კინეტიკას; რეკომენდებულია პრაქტიკის დანერგვა.

გარდა ამისა, საგანი „კვების პროდუქტების კვლევის თანამედროვე მეთოდები“, რომელიც ასევე დარედაქტირდა საერთაშორისო ექსპერტების რჩევების მიხედვით, წარმოადგენს მხოლოდ სემესტრის პირველ ნახევარში ჩატარებულ ლაბორატორიულ აქტივობებს. ეს ლაბორატორიული აქტივობები მიმართულია სურსათზე, თუმცა გამოყენებული ინსტრუმენტები არ შეიძლება განისაზღვროს უახლესად ან თანამედროვედ. საგნის მხოლოდ მეორე ნაწილი ეხება სურსათის ანალიზის უახლეს

მეთოდებს ქრომატოგრაფიის გამოყენებით, მაგრამ ფაკულტეტის ლაბორატორიაში პრაქტიკული აქტივობების განხორციელება შეუძლებელია. აწსუ-ს გაცნობიერებული აქვს შესაბამისი ინსტრუმენტების ფლობის აუცილებლობა, ამიტომაც უახლოეს წლებში (2025-2026) დაგეგმილი აქვს ლაბორატორიული ქრომატოგრაფიული აღჭურვილობის შეძენა. იქამდე კი პრაქტიკული გაკვეთილები ვერ ჩატარდება. თუმცა, აწსუს აქვს შეთანხმება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ამ ტიპის აღჭურვილობის გამოყენებაზე; ამ შეთანხმების მიხედვით სტუდენტებს შეუძლიათ თავიანთი სამეცნიერო კვლევის ნაწილი განახორციელონ დასავლეთ საქართველოს რეგიონულ ქრომატოგრაფიულ ცენტრში. გირჩევთ, რომ ამ ინსტრუმენტების გამოყენებით, პრაქტიკული აქტივობები ჩასვით სემესტრის განმავლობაში და ყველა სტუდენტისთვის მოაწყოთ პრაქტიკული სესიები (2-3) ბათუმის უნივერსიტეტში. ასევე, გირჩევთ, რომ სურსათის ანალიზის საგნის სახელწოდება შეცვალოთ, ინსტრუმენტული ანალიზით ან რაიმე მსგავსით. საგანში „სურსათის ქიმიკა“, სასურველია დაზუსტდეს, რა სახის ინდიკატორები (ხარისხი და უვნებლობა) გაიზომება ლაბორატორიული მუშაობისას.

საბოლოო შენიშვნის სახით უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი გამოყენებული ტერმინი არ შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას; ასევე მოცემულია რეკომენდაციები ქართული ტერმინების ზოგიერთ განმარტების გამოყენებაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა, თანდართული სილაბუსებით;
- კურიკულუმის რუკა;
- პროგრამის სწავლის შედეგებისა და სამიზნე ნიშნულების მიღწევის მონიტორინგი;
- გასაუბრებების შედეგები.

რეკომენდაციები:

- საქართველოს კანონი სურსათის/საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის შესახებ (2012 წელი) - ერთმანეთისგან განასხვავებს ტერმინებს „სურსათი“ და „საკვები“. ზოგიერთ ქართულ სილაბუსში ეს ტერმინები ურთიერთმონაცვლეობით გამოიყენება - ხალხი იყენებს სურსათს და არა - კვების პროდუქტებს ან საკვებს, ამიტომ სწორი ტერმინი უნდა იყოს გამოყენებული ჩამოთვლილი საგნებისთვის:

საკვები პროდუქტების კვლევის თანამედროვე მეთოდები - სურსათის კვლევის თანამედროვე მეთოდები
კვების საწარმოთა პროცესები და მოწყობილობები - სურსათის საწარმოთა პროცესები და მოწყობილობები
კვების საწარმოთა დაგეგმარების პრინციპები -სურსათის საწარმოთა დაგეგმარების პრინციპები
კვების ქიმიის საკითხები - სურსათის ქიმიის საკითხები

გარდა ამისა, სწორი ტერმინები უნდა იქნას გამოყენებული ყველა სილაბუსში (მათ შორის, რომელიც ზემოთ არ არის ჩამოთვლილი).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია მეტი ინგლისური ლიტერატურის დამატება (პროგრამა ითვალისწინებს ინტერნაციონალიზაციას, შესაბამისად პროგრამის განვითარებისთვის კარგი იქნება მეტი უცხოენოვანი ლიტერატურის, სამეცნიერო სტატიების გამოყენება);
- სასურველია სტერილიზაციის, პასტერიზაციის, UHT-ის და ასეპტიკური შევსების ჩასმა საგანში „სასურსათო წარმოების პროცესები და თანამედროვე აღჭურვილობა“ და ასევე სასურველია დაინერგოს პრაქტიკული გამრობის კინეტიკაზე.

- სასურველია დაზუსტდეს, რა სახის ინდიკატორები (ხარისხი და უსაფრთხოება) გაიზომება სურსათის ქიმიის საგანში ლაბორატორიული სამუშაოების დროს.
- სასურველია პრაქტიკული ლექციების ჩასმა კურსში „კვების პროდუქტების კვლევის თანამედროვე მეთოდები“ და ასევე შეიცვალოს ეს სახელწოდება, ისე რომ ამოღებულ იქნას სიტყვა „თანამედროვე“.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	<input type="checkbox"/>

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება არსებულ კანონმდებლობას და დაკავშირებულია პროგრამის შინაარსთან. პროგრამაზე ჩასარიცხად, პირებმა უნდა ჩააბარონ გამოცდა სპეციალობაში და დაამტკიცონ, რომ ფლობენ საბაზისო ცოდნას და უნარებს სწავლის შედეგების მისაღწევად. აწესებს შემუშავებული აქვს საგამოცდო კითხვები (ჯამში 120). კითხვები არის ღია და უკავშირდება სურსათის დამუშავების სხვადასხვა მეთოდებს. ასევე ჩამოთვლილია ის მითითებები, თუ რომელ პირებს შეუძლიათ ისწავლონ და მოემზადონ გამოცდისთვის. გარდა ამისა, ინგლისური

ენის B1 დონეზე ცოდნა არის სავალდებულო; ეს დასტურდება აწესდებულ ჩაბარებული გამოცდით, შესაბამისი სერტიფიკატის წარდგენით ან ბაკალავრის დიპლომის დანართით, სადაც მითითებულია, რომ პირი დაეუფლა ინგლისურ ენას. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისური ენის ცოდნა არის პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, სტუდენტები არ იყენებენ ინგლისურენოვან სამეცნიერო ლიტერატურას სამაგისტრო ნაშრომისთვის; ეს დასტურდება სამაგისტრო ნაშრომების შესწავლის საფუძველზე. ბიბლიოგრაფიაში ძირითადად რუსულენოვანი ლიტერატურა იყო მითითებული, რომელსაც ინტერვიუების მიხედვით ძირითადად სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელები აწვდიდნენ. ვინაიდან აწესდებულა ინგლისურენოვან საბიბლიოთეკო რესურსებზე (მაგ. სამეცნიერო ჟურნალების საერთაშორისო მონაცემთა ბაზებზე), გირჩევთ, შეზღუდოთ რუსულენოვანი ლიტერატურის გამოყენება, გარდა იმ შემთხვევებისა, სადაც ეს მკაცრად აუცილებელია.

პროგრამაზე მისაღები მოთხოვნები და პროცედურები სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია. საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის უზრუნველსაყოფად, აწესდებულა განსაზღვრავს სტუდენტების რაოდენობას (ამ შემთხვევაში წელიწადში 12 სტუდენტი), დაწესებულების რესურსებისა და პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o თვითშეფასების ანგარიში;
- o ინტერვიუების შედეგები;
- o წინაპირობები, დოკუმენტი სპეციალობის გამოცდასთან დაკავშირებით;
- o მისაღები გამოცდის კითხვები.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია რუსულენოვანი ლიტერატურა შეიზღუდოს და დაშვებული იყოს, სამაგისტრო ნაშრომის ბიბლიოგრაფიაში, იქ სადაც აუცილებელია.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /სამემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / სამემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის შეჯამება და ანალიზი სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან

შესაბამისობის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

პროგრამა უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარების განვითარებას ლაბორატორიული აქტივობებისა და სასწავლო კურსების საფუძველზე, რომელსაც ჰქვია „პროფესიული პრაქტიკა“. აქტივობები დაგეგმილია სწავლის შედეგების შესაბამისად და შეესაბამება განათლების დონეს. „პროფესიული პრაქტიკის“ ფარგლებში ლაბორატორიულ-პრაქტიკული სამუშაოები ტარდება რეალურ საწარმოო გარემოში. აკაკი წერეთლის უნივერსიტეტი წინასწარ ამოწმებს სტუდენტების რაოდენობას და პროფესიული პრაქტიკის პერიოდს დამსაქმებლებთან შეთანხმების საფუძველზე. სტუდენტების განაწილება პრაქტიკულ ობიექტებზე ხდება სამაგისტრო ნაშრომის თემის მიხედვით. სტუდენტებს ხელმძღვანელობენ გამოცდილი მკვლევარები და კომპანიის პერსონალი. ხსენებულ ხელშეკრულებებს შორის დაფიქსირდა, რომ 3 უკვე ვადაგასულია, 1-ს არ აქვს ხელმოწერა და 7-ს ვადა ეწურება 2023 წლის სექტემბერში; შემოთავაზებულია განახლდეს და მუდმივად გადაიხედოს ხელშეკრულებები პროფესიული განვითარებისა და კვლევაზე დაფუძნებული ეტაპებისთვის.

სტუდენტებს საშუალება აქვთ მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებში. დაინტერესებულ სტუდენტებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებში და შესაბამისად წარმოადგინონ თავიანთი მუშაობის შედეგები სტუდენტურ კონფერენციაზე. სტუდენტური კონფერენციები სტუდენტური დღეების ფარგლებში ყოველწლიურად იმართება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და გასაუბრების შედეგების ჩათვლით
- o გასაუბრებების შედეგები;
- o თვითშეფასების ანგარიში;
- o შესაბამისი ხელშეკრულებები/მემორანდუმები ეკონომიკურ აგენტებთან, დამსაქმებლებთან;
- o კონფერენციები;
- o პროექტი.

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არსებითად შეესაბამება მოთხოვნებს	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
------------	------------------------------	----------------------------------	---	---------------------------

2.2 პრაქტიკული,
სამეცნიერო/კვლევითი/
შემოქმედებითი/საშემსრულებლო
და ტრანსფერული უნარების
განვითარება

X

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, თვითშეფასების ანგარიშის (SER), თანდართული დოკუმენტების და ადგილზე ვიზიტების საფუძველზე შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე.

პროგრამა იძლევა თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების შექმნის შესაძლებლობას. იგი ითვალისწინებს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის უშუალო მონაწილეობას და მაგისტრანტის დამოუკიდებელ მუშაობას. დანერგილია სწავლის სხვადასხვა მეთოდი, როგორც ვერბალური, პრაქტიკული, საჩვენებელი, ლაბორატორიული მეთოდი, დისკუსია/დებატები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების სასწავლო პროცესში შესაბამის დონეზე ჩართულობას. ამასთანავე, გათვალისწინებულია სტუდენტების მიერ კრიტიკული და ანალიტიკური უნარების განვითარება; არსებობს დისტანციური სწავლების ელექტრონული რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფს კრიტიკულ სიტუაციებთან გამკლავებას და სხვა ინსტიტუტებიდან მოწვეული პერსონალის მიერ ლექციების განხორციელებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

თვითშეფასების ანგარიში;
გასაუბრებების და ვიზიტის შედეგები;
საგანმანათლებლო პროგრამა;
სასწავლო კომპონენტების სილაბუსები;
სასწავლო გეგმის რუკა;
პროგრამის სწავლის შედეგებისა და სამიზნე ნიშნულების მიღწევის მონიტორინგი.

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა	არ შეესაბამება მოთხოვნებს
------------	-------------------------------------	---------------------------------	-----------------------------------	------------------------------

2.3. სწავლება-
სწავლის
მეთოდები

X

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

სტუდენტების შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ შესაბამისად.

თითოეული აკადემიური კურსის/საგნის შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები არის გამჭვირვალე, სანდო, ხელმისაწვდომი და წინასწარ ცნობილი სტუდენტებისთვის. სტუდენტი იღებს უკუკავშირის მათი მიღწევების შესახებ მიმდინარე შეფასების პროცესში და შუალედური და დასკვნითი გამოცდების შემდეგ. გარდა ამისა, სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს შედეგის დაზუსტება. კრედიტების ათვისება ხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც სტუდენტი მიაღწევს სილაბუსით დაგეგმილ სწავლის შედეგს;

